ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2441 ოთხშაბათი, 17 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 244

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-
ით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში
ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

მიხეილ პეტრეს ძე, მარიამ ქაიხოსროს ასული, სოფიო ივანეს ასული, ალექსანდრე, კონსტანტინე, ლევან, ვასილ, პავლე და ელენე ციმაკურიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 17 მარტს მეორმოცე დღეს

გიორგი მიხეილის ძის ციმაკურიძის

გარდაცვალებისას, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—6.—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 მარტს უკანასკნელი წარმოდგენა ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

I. ცხოვრების გარეშე

თანამედრ. სურ. 4 მოქმ. ვ. პროტოპოპოვისა, თარგმ. თ. შველიძის მიერ.

II. დავა

გ. ერისთავისა, მეოთხე მოქმედება.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.
მზადდება წარმოსადგენად ნაადგომევისათვის „საქმის კაცი", „სხვის ნაოხარზე".

ამხანაგობის გამგე **ვალ. გუნია.**

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 17 მარტს, 1904 წ. ქართულ დრამატიულ არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება,

I ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქ. კარეევისა, თარგ. ზ. ჩიქვაიძისა.

II ბიძასთან გამოხუმრება

ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქ. თავ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, აფხაზიშვილი, მ. აბაშიძისა, დავითაშვილი, ნებიერიძისა; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, ბაქრაძე, გვარაძე, გძელიძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანიშვილი, მატარაძე, საფაროვი, სარჯველაძე და სხვა.

დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

გამგე **ა. ი. იმედაშვილი.** რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი**

მზადდება წარმოსადგენად: „ექიმი შტოკმანი" იბსენისა ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით.

◆ სამშაბათის წარმოდგენისათვის ნაყიდი ბილეთები ოთხშაბათისათვის გამოდგება ◆

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 17 მარტს, წარმოდგენილი იქნება

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქ. მუსიკა როსინისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარტავინა, ლელინა; ბ-ნნი რაისკი, ილიუშჩენკო, კამიონსკი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 18 მარტს ბენეფისი კამიონსკისა;—„ევგენი ონეგინი"; 19 მარტს —ბენეფ. ფიგნერისა.

ძმ. ნიკიტინების ცირკში



ოთხშაბათს, 17 მარტს, სხვათა შორის, მეორედ გაიმართება საინტერესო კავკასიური

ჭიდაობა

ცნობილ კავკასიელ მოჭიდავეთა **ცერაძისა** და კ. **მაისურაძის** შორის და ცნობილ მოჭიდავეთა **ვილიამ რობინესა** და ა. **მერაბაშვილის** შორის. ვინც გაიმარჯვებს, იმას 25 მან. ჯილდო მიეცემა. ჭიდაობა მოხდება მეორე მოქმედების შემდეგ. დასასრულ ბალეტ-პანტომიმა. დაწვრილებით იხილე აფიშებში.

დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. (1—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა, 11 ს.—12-მდე.

ა. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

გ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. გ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

გ. გ. მარხვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

დ. გ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

გ. [illegible]ინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია. [illegible] და შაბათ. 5—6 ს.

ა. მალალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან [illegible].

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. (ვლ.)

ტელეფონი № 274

ქუთაისში
კბილის ექიმი
მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპ არმაკლიძისა.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—6.—5)

ტფილისის ხელისმომწერთა საყურადღებოდ

გუშინდელ დღიდან მოვსპეთ საღამოობით დეპეშების დარიგება, რადგან ჯერ-ჯერობით ომის ველიდან არავითარი ცნობა აღარ მოდის და დეპეშები სრულიად ინტერესს მოკლებულია.

დეპეშების გზავნას დავიწყებთ ისევ, როდესაც უფრო საინტერესო ცნობები მოვა შორეულ აღმოსავლეთიდან. (1—1)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მარტი

ყაზანი. შორეულ-აღმოსავლეთს გაემგზავრა უნივერსიტეტის რვა სტუდენტი, რათა მსწრაფლ მომქმედ რაზმში თავისუფალ მეომრად ჩაირიცხონ.

ტიანძინი („რეიტ. სააგ."). რუსებმა ნიუჩჟუანში საომარ დროის წესები შემოიღეს.

ვლადივოსტოკი. „ვოსტოჩნი ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია მუკდენიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია: „იალუს ნაპირებზე რუსების კომპანიის სატყეო-მრეწველო ოპერაციები შეწყდა. მიატოვეს ტივებად დამზადებული აურაცხელი ხე-ტყე. კომპანიასა და კაჭრებს, ჩინელებსა და კორეელებს, დიდი ზარალი მოუვიდათ. ტყუილი გამოდგა ის ხმები, ვითომ ტყეს შეუბრალებლად სპობდნენ; ხელუხლებელია დიდძალი ტყე, რომელიც კომპანიის კონცესიას შეადგენდა".

სევასტოპოლი. ადმირალმა სკრიდლოვმა „ზაპოროჟეც"-ის უფროს კონსტანტინეპოლში გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: გთხოვთ, ჩემისა და შავის ზღვის ფლოტის სახელით, მიესალმოთ „ვარიაგ"-ის და „კორეეც"-ის მეზღვაურთ.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

16 მარტი.

პარიზი. ივლისში მოელიან ტუნისის ბეის მოსვლას. ბეის სურს, ამ მოსვლით სამაგიერო დარბაზობა გადაუხადოს პრეზიდენტ ლუბეს, რომელიც შარშან ტუნისში სადარბაზოდ იყო ბეისთან.

ლონდონი. „დეილი მეილ"-ს დეპეშით ატყობინებენ ფარიონგიდან (ტიბეტშია): ორშაბათს აქედან წავა გენერალი მაკდონალდი თავისის ჯარით, რომელიც ათას კაცისაგან შესდგება. გენერალი თან წაიღებს ექვს ზარბაზანს, ორი მათგანი მაქსიმის სისტემისაა. მოელიან ტიბეტელების თავდასხმას ტუნსა და იანტეს შუა.

ვლადივოსტოკი. აქედან გახიზნეს ჯარის კაცთა ოჯახები. შინაგან საქმეთა მინისტრმა კამენდატს გაუგზავნა ფული იმ ინტელიგენტების გამოსამგზავრებლად, რომელთაც შეძლება არა აქვთ. მცხოვრებთა რიცხვი მცირდება. დარჩენილნი შიშს არ ეძლევიან. სანოვაგის ფასები ზომიერია, შეუფერხებლად შემოაქვთ ქალაქში.

ბერლინი. „ნაციონალ ცაიტუნგი" აღნიშნავს გმირობას და მამაცობას საზღვაო ახალგაზდა რუს აფიცრებისას, რომელნიც ავიდნენ იაპონიის ბრანდერზე და გადასჭრეს ელექტრონის მავთულები.

ტოკიო. როგორც „ცენტრალ ნიუს"-ი იტყობინება, სამშაბათს პარლამენტმა უნდა განიხილოს საკითხი რეზოლიუციის მიღების შესახებ. ამ რეზოლიუციით პალატა მოიწონებს მთავრობის პოლიტიკას და გამოსთქვამს რწმუნას, რომ მთავრობა შეურყევლად განაგრძობს საომარ მოქმედებას.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. „ნოვოე ვრემია"-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: 10 მარტი. აქაური გაზეთები იუწყებიან, იაპონელებმა 9 მარტს პორტ-არტურის შიდა რეიდს ზარბაზანი დაუშინესო. სამხედრო წრეებს ძლიერ უკვირთ, ასე ახლო მისვლა როგორ მოახერხეს იაპონელებმაო: აქ ჰფიქრობენ, მალე პორტ-არტურთან ზღვაში დიდი ბრძოლა მოხდებაო.

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: 9 მარტს პორტ-არტურთან იაპონელებს სულ 7 კაცი მოუკლეს და დაუჭრესო („მ. ვ.").

გერმანული გაზეთები სწერენ: ადმირალი ტოგო 9 მარტს იმ აზრით დაეცა პორტ-არტურს, რომ რუსის ფლოტი ზღვაში არ გამოსულიყო და იაპონელებისათვის ხმელეთზე ჯარის გადაყვანა არ დაეშალა. იაპონელები ყოველთვის ასე იქცევიან: როცა კი სადმე ჯარი გადაჰყავთ, იაპონიის ესკადრა მაშინვე პორტ-არტურს დაეცემა ხოლმე. ასე მოიქცნენ 27 იანვარს, 12 თებერვალს და 26 თებერვალს. 27 იანვარსა და 12 თებერვალს ჩემულპოსა და სხვა ადგილებში გადაიყვანეს ჯარი, 26 თებერვალს ცინამპოში. ვლადივოსტოკსაც იმისათვის დაეცა იაპონიის ესკადრა, რომ იმ დღეებში კორეის აღმოსავლეთ მხარეს ჯარი გადაჰყავდათ იაპონელებს. ამას გარდა, იაპონელები, რასაკვირველია, რუსის ფლოტის დასუსტებასაც ცდილობენო („რ.").

„დეილი ექსპრეს"-ის ნაგასაკელი კორესპონდენტი, იაპონიის სამხედრო სამინისტროს ნება-რთვით, იუწყება: იაპონიის ჯარი ჩრდილოეთ კორეაში მანჯურიაზე გასალაშქრებლად დაემზადა. ერთი რიგი ჯარი მალე მდინარე ტუმენის შესართავისაკენ (პასიეტის ყურის სამხრეთითაა) წავა და იქიდან ხარბინისაკენ გაილაშქრებს, სხვა რაზმები-კი მდინარე იალუსაკენ მიდიან. („მ. ვ.").

„ნიუ-იორკ-ჰერალდ"-ს ატყობინებენ ინკოუდან: ნიუ-ჩუანსა და დაშიცაოს (ანუ ტახიჩაუ—სადგურია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე) შუა, სოფლებში 20 ათასი რუსის ჯარის-კაცი სდგას. კიდევ 10 ათას კაცს მოელიან. ლიაოხეს შესართავთან რუსები სიმაგრეებს აშენებენ. ამ დღეებში ინკოუში 400 ჯარის-კაცი მოვიდა, თან 6 ზარბაზანი მოიტანეს. ნიუ-ჩუანში რუსებმა უცხოელებს ქალაქ გარედ გასვლა, რკინის გზის სადგურთან და ფორტებთან მიახლოვება აუკრძალეს. უცხოელებს მხოლოდ თავიანთ სახელმწიფოების გემების ნახვა შეუძლიათ. („რ.")

„კელნიშე ცაიტუნგ"-ი იუწყება: იაპონელები მარდად აშენებენ სეულ-ფენიანის რკინის გზას. იაპონიის ნავთ-სადგურებიდან გემებით ყველა საჭირო მასალა მოიტანეს. („მ. ვ.")

„დეილი მეილ"-ი იუწყება: იაპონელები სეულიდან სიონ-ჩჟუმდე რკინის გზას აშენებენო. („ბ. ვ".)

1 რანგის კრეისერ „ასკოლდის" უფროსი 1 რანგის კაპიტანი რეიცენშტეინი დიდ ოკეანის ესკადრის უმცროს ფლაგმანის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა. დიდ ოკეანის ესკადრის უმცროს ფლაგმანად, ავადმყოფობისა გამო გადაყენებულ კონტრ-ადმირალ შტაკელბერგის ნაცვლად, კონტრ-ადმირალი ხვოშჩინსკი დაინიშნა. („რ. ვ.").

კანეიდან (კუნძულ კრიტადან) დეპეშით ატყობინებენ „კორესპონდენც ბიურო"-ს: კრეისერი „დმიტრი დონსკოი" 7 მარტს სუდის ბუხტაში (ესეც კრიტზეა) მოვიდა. კრეისერი „ავრორა" სამის ნაღმიანის გემით ამ ბუხტიდან გავიდა. ჯავშნიანი გემი „ოსლიაბია"-ც კონტრ-ადმირალ ვირენიუსის უფროსობით აქედან ზღვაში გავიდა რაღაც საიდუმლო საქმეზე. („რ.").

„ლოკალ-ანცაიგერ"-ი იუწყება, რუსეთის რწმუნებულთ გენუასა, მარსელსა და ნიცაში სატრანსპორტო გემების სყიდვაზე მოლაპარაკება გამართეს მეგემეებთანაო.

ვრობამ მეგემეთა კერძო სა- გემები ჯარის გადასაყვანად ამიტომ იაპონელმა მეგემეებმა აქმეებისათვის ლონდონში ორი ი დაიქირავეს: „ერეტია" ექვსის ით და „კარლი" სამის თვის ვადით. ემი დაუყოვნებლივ მიდის იაპონიას. ერპენიდან გემი „გიმალაია" დიუნ- კს (საფრანგეთში) წავიდა, იქ ტვირთი აუდო და ჩინეთს გაემართა. ამბობენ, ეს ტვირთი ნამდვილად იაპონიას უნდა ჩაჰბარდესო. („რ. ვ.").

ჩინეთის მოქმედება. ჩინეთის მთავრობას ამნაირი ოფიციალური ბრძანება გამოუცია ნეიტრალიტეტის თაობაზე: „მშვიდობიანობა მოიშალა. იაპონიამ და რუსეთმა ომი ასტეხეს. ორივე ეს სახელმწიფო ჩინეთს თავის მეგობრებად მიაჩნია, ამიტომ ნეიტრალიტეტი უნდა დავიცვათ. ვუბრძანებთ ჯარის სარდლებსა, პროვინციების გუბერნატორებსა და გენერალ-გუბერნატორებს განკარგულება მოახდინონ და თავიანთ სამხედრო და სამოქალაქო ხელქვეითებსა და ხალხს გამოუცხადონ, რომ ყველამ ნეიტრალიტეტი დაიცვას, კეთილი საერთაშორისო ურთიერთობა არ დაარღვიოს და ჩვენ დიდ საზოგადო ინტერესებს არა ავნოს-რა. ეს ბრძანება ყველამ უნდა რიგზე შეასრულოს. პეკინი. მე-29 წლის მე-12 მთვარის მე-27 დღეს. იმპერატორი კუანგ-სიუ." („რ".).

ამას გარდა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსაც ასეთი ბრძანება გამოუცია: „მანჯურიის სამი პროვინციაც ჩინეთის ნაწილს შეადგენს. ქალაქებს მუკდენსა და ხინ-კინგს, სადაც იმპერატორის წინაპართა სამარხია, ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ. ამიტომ ვუბრძანებ შენგკინგის პროვინციის მარშალს ამ საფლავებს დიდის პატივისცემით მოექცეს და ბეჯითად გაუფრთხილდეს".

ფრანგული გაზ. „ჟურნალ დე დება" იუწყება: ჩინეთის მთავრობას ეშინიან, ვაი თუ მანჯურიაში ნეიტრალიტეტის დაცვა ვერ მოვახერხოთო. ჩინელები ამბობენ: მანჯურიაში ჩინეთის ჯარი მეომარ სახელმწიფოების ჯარის გვერდზე იდგება და, თუ ცინიცობაა ჩვენმა ჯარმა იქ ნეიტრალიტეტი დაარღვია, მაგის პასუხის გებას ჩვენი მთავრობა თავის თავზე ვერ იკისრებსო. („ნ.")

„ნოიე ფრაიე პრესე" იუწყება: ჩინეთის მთავრობა მალე ხელ-ახლად ოფიციალურად გამოაცხადებს, ჩინეთი მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიცავს და არც რუსეთს მიემხრობა, არც იაპონიასო („რ. ვ.").

„ლოკალ ანცაიგერ"-ი იუწყება: ჩინეთის მთავრობამ რუსეთის სამხედრო ატაშეს ნება მისცა, ჩინეთის ჯარს მანჯურიის საზღვარზე კანტროლი გაუწიოს ხოლმე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ რუსის აფიცერმა ყოველთვის ჩინელი აფიცრების თანადასწრებით დაათვალიეროს ჩინეთის ჯარიო. („ნ.").

„ნ. შ. დაილი ნიუს"-ის კორესპონდენტი სწერს: „თუ გინდათ გაიგოთ, ვის თანაუგრძნობენ ჩინელები, საკმაოა შანჰაის ქუჩებში გაიაროთ და ჩინელების დუქნებსა და სახაიებში შეიხედოთ. როცა აქ იაპონელების გამარჯვების ამბავი მოდის, ჩინელები სიხარულით ცას მოეწევიან ხოლმე. ჩინელები დიდის ალტაცებით უამბობენ ერთმანეთს, იაპონელებმა პორტ-არტურთან 5 რუსის სამხედრო გემი ააფეთქესო და ყველანი ერთხმად იაპონიის სრულს გამარჯვებას ნატრულობენ. ჩემის აზრით, ჩინეთი მალე აშკარად მიემხრობა იაპონიას". (.ნ.").

ვლადივასტოკის პოლიცმეისტერის ბრძანება. ვლადივასტოკის პოლიცმეისტერმა 17 თებერვალს რუსულსა და ჩინურს ენაზე ბძანება გასცა და ქუჩებში გააკრა. ბრძანებაში ნათქვამია: „რაკი იაპონიასა და რუსეთს შუა ომი დაიწყო, ვლადივასტოკის ციხეში იაპონელებს კანონის ძალით ცხოვრება აეკრძალათ. ამიტომ ყველა იაპონელი ნელნელა სამშობლოში გავისტუმრეთ. მაგრამ მაინც ხმა დადის, ვლადივასტოკში კიდევ დარჩნენ იაპონელები და ჩინურ ტანისამოსით, ნაწნავებით ჩინელებისა და კორეელების სახლებში იმალებიანო. თუ ეს ხმა მართალია, ვურჩევ ჩინელებსა და კორეელებს დამალულ იაპონელების ბინა დაუყოვნებლივ შეატყობინონ პოლიციას, ან არა და თითონვე დაიჭირონ და პოლიციას წარუდგინონ. ვინც ამ ბძანებას შეასრულებს, კარგ ჯილდოს მიიღებს ფულათ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ ვინმე იაპონელს დაჰმალავს, პოლიციას არ შეატყობინებს და რუსის მოხელეები თითონ იპოვიან ამ იაპონელს, მაშინ იაპონელს გარდა, იმის შემნახველსა და დამმალველსაც დაიჭერენ და სამხედრო სამართალში მისცემენ" („რ. ვ.").

იაპონიის ელჩი კურინო. „ნიუ-იორკ-ჰერალდ"-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონიის ელჩი კურინო თავის მთავრობის მონდობილობით სისტემატიურად თვალებს უხვევდა რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს და შორეულ-აღმოსავლეთის კომიტეტს. კურინოს ჯერ კიდევ თიბათვეში შეატყობინა თავისმა მთავრობამ, იაპონიას ომი ჰსურსო, მაგრამ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ რუსეთის დიპლომატიამ ვერა გაიგოს-რა და დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენ ზავი გვწადიანო. ამ აზრით კურინომ მაშინვე საელჩოსათვის ახალი დიდი სადგომი დაიქირავა საფრანგეთის ქუჩაზე, ფული არ დაზოგა და მეტად მდიდრულადაც მოაწყო. ამავე დროს კურინო გარეშე საქმეთა სამინისტროსა და შორეულ-აღმოსავლეთის კომიტეტში ხშირად დაიარებოდა, მანჯურიაში დასახლებულ იაპონელებისათვის მცირე შეღავათს თხოულობდა და ირწმუნებოდა, იაპონია იმითაც კმაყოფილია, რაც ეხლა ხელთ უჭირავს, და ომი ფიქრადაც არ მოსდისო. კურინოს პეტერბურგში ზავის მტკიცე მომხრედა სთვლიდნენ. სწორედ ამ დროს იაპონელები დიდის სიჩქარითა და დიდის საიდუმლოებით საომრად ემზადებოდნენ. წარსულ იანვრის მიწურულში კორესპონდენტს უკითხავს კურინოსათვის: „საომრად ხომ არ ემზადებითო?". კურინოს უპასუხნია: „რუსები არად გვაგდებენ, მაგრამ ჩვენ 600 ათასი ჯარის-კაცი და მშვენიერი ფლოტი გვყავსო". რამდენიმე დღის შემდეგ დიპლომატიური მოლაპარაკება შესწყდა და იაპონელები რუსის ფლოტს დაეცნენ პორტ-არტურში („რ.").

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ როგორც გვატყობინებენ, ბორჩალოს მაზრაში სადგურ ახტალის (ყარსის შტო) მახლობლად, გენერალ ლისოვსკის აგარაკში, 14 მარტს, ღამე ვიღაც ბოროტ-განმზრახველს **მოუკლავს გენერალი ლისოვსკი** და იმისი მოსამსახურე ვასილ ჰიჰინაძე. ლისოვსკი და ჰიჰინაძე 13 მარტს მისულან აგარაკში. მკვლელი არ იციან, ვინ არის, მხოლოდ ეჭვი მიიტანეს ყაზახის მაზრის მცხოვრებ მარუქ აკოფოვზე, რომელიც გენერალთან მსახურებდა. ამბობენ, გენერალს ჩასვლისთანავე აკოფოვისათვის ანგარიში მოუთხოვნია და მერე ადგილიდან დაუთხოვნია. ამასთან ანგარიშის დროს გენერალს 25 მანეთი დაუკლია, რადგან მოჰკვდარა გენერლის ცხენი, რომელიც აკოფოვსა ჰყვანდა ჩაბარებული. აკოფოვი სადღაც დაიმალა.

◆ ფინანსთა და გზათა სამინისტროებს გადაეცაი შუამდგომლობა ვაჭრის ალექსანდროვისა, ბარონ ფონ-დერ-როოპისა, გერმანისა და კრიჟანოვსკისა. ესენი თხოულობენ, ნება მიეცეთ შეადგინონ საზოგადოება **„რკინის გზის შტოს გასაყვანად ქალაქ ქუთაისიდან ლაშხეთამდე"**.

◆ გუშინ, 16 მარტს, სამხედრო მუზეუმის სადგომში გაიხსნა **სურათების გრავიურების გამოფენა.** გამოფენის გახსნის წინ სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ფონ-პარკაუმ, რომლითაც აღნიშნა გამოფენის ორგვარი მიზანი და დანიშნულება: პირველი—გააცნონ საზოგადოებას შესანიშნავ მხატვართა ნაწარმოები გრავიურებით და მეორე—ამ გამოფენის წმინდა შემოსავლით დაეხმარნენ შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ და ავადმყოფ რუს ჯარის კაცთ. გამოფენა ძალიან საინტერესოა და იმის დათვალიერებით საკმაოდ კარგად შეიძლება გაითვალისწინოს კაცმა ძველი მხატვრობის ყოველი ხანა და განვითარება. ძველი სურათების გრავიურების გარდა გამოფენილია მცირე რიცხვი ახალის მხატვრობის გრავიურებისა და ფოტოგრაფიული სურათები. გამოფენის გახსნას დაესწრნენ მთავარ მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, საქართველოს ექსარხოსი, გუბერნატორი და მრავალი საზოგადოება.

◆ გუშინ ტფილისის საბჭოს ხმოსნებმა ა. ს. ბაბოვმა და სტ. თ. ჭრელაშვილმა განცხადება წარუდგინეს ქალაქის მოურავს. ხმოსნები სწერენ, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების ინიციატივით ჭლექის საწინა- ღმდეგო გამოფენის გამართვის საქმეში ბუთს გვაძლევს წამოვაყენოთ საკითხი გირდის აბანოებთან **საბალნეოლოგო** სა- **გურის** დაარსების შესახებაო. ეს საქმე ძრა საბჭოში 1899 წელს მაშინდელმა ხმო- სანმა ნ. ი. ნიკოლაძემ, მაგრამ ვერ განხო- ციელდა, რადგან ქალაქს ფული არ ეგუ- ბოდა ამას გარდა ხმოსნები ურჩევენ ქალ შეუძლებს ერეკლეს მოედნიდან აბანოებამდე განიერ ქუჩის (10—12 საჟენი) გაყვანა ამისათვის ქალაქმა უნდა შეისყიდოს კერ კაცთა ადგილები. განცხადების დასასრუ ხმოსნები სთხოვენ მოურავს, წარუდგინო მოხსენება საბჭოს იმ წინადადებით, რო საბჭომ ან ახალი კომისია ამოარჩიოს ამ ს ქმის შესამუშავებლად, ან და გადასცეს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქ ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვ ზრუნვა. საბჭომ უნდა აღძრას შუამდგომ ლობა, ნება მიეცეს ტფილისის ქალაქ თვით-მმართველობას გამართოს მთელს კა კასიაში ხელის მოწერა იმ თანხის შესადგ ნად, რომლითაც უნდა აშენდეს საბალნეო ლოგო სადგური.

◆ გუშინ, მთავარ-მართებლის განკარგუ ლებით, გუბერნატორმა შეატყობინა ტფი ლისის ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქ შუამდგომლობა საზღვარ-გარეთიდან ელექ **ტრონის ტრამვაისათვის** საჭირო მასალ უბაჟოდ შემოტანის შესახებ შინაგან საქმეთ სამინისტრომ გადასცა ფინანსთა სამინისტროს რომელმაც შესაძლებლად ვერ სცნო შუამ დგომლობის შეწყნარება.

◆ „კავკაზ"-ის ოფიციალურ ნაწილში გა მოცხადებულია, რომ შორაპნის მაზრის წი ნამძღოლი თავ. წერეთელი დაინიშნა ქუთა **თაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინა ძღოლად.**

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებ საბჭომ **თელავსა და სიღნაღში** თავის ს წყობებისათვის გაჰგზავნა სამი ფურგუნი გ გირდი, შაბიამანი და სხვა-და-სხვა მანქანები ვაზის სამკურნალოდ საჭირო.

◆ ტფილისის გუბერნიის სოფლის საქმე თა საკრებულოს წევრი-საქმის მწარმოებ ბელი ვეიდენბაუმი დაინიშნა **კავკასიის** ს **რქეოგრაფო კომისიის** თავმჯდომარედ.

◆ გუბერნატორმა უკვე დაამტკიც ტფილისის საბჭოს 8 მარტის დადგენილებ **ხორცის ნიხრის** შეცვლის შესახებ.

◆ კვირას, 21 მარტს, დაიხურება ჭლე **ქის საწინააღმდეგო გამოფენა.**

◆ ექიმი ა. ი. ხატისოვი ბაქოს მიუწვე ვიათ **სახალხო სახლისა და ჭლექის** წინა **ღმდეგ** ბრძოლის შესახებ ლექციების წას კითხავად. ბ-ნი ხატისოვი ორსავე ლექცია ბაქოს სატეხნიკო საზოგადოების დარბაზ წაიკითხავს—პირველს 20 მარტს და მეორე საც—21 მარტს. ორისავე ლექციის შემო

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ.

(პედაგოგიური წერილები ქართველ დედასთან)

წერილი 9.

თქვენ მწუხარებით მატყობინებთ, რომ ემიკო მალე ერთი წლისა უნდა გახდეს და ჯერ სიარულს ვერ მიჩვეულა, თუმცა დგომა კი ისწავლაო. სწორედ მოგახსენოთ, აქ სავალალო და სამწუხარო არა არის-რა, ბატონო ჩემო. ნიშნებითა სჩანს, რომ ემიკო მალე, ძალიან მალე აიდგამს ფეხს. მხოლოდ ამასა გთხოვთ, ნუ აჩქარდებით თქვენ ამ საქმეში. დედების უმეტესობა იმის ცდაშია, რომ მათმა შვილმა ყველას გაასწროს წინ: ყველაზე ადრე მისმა შვილმა ისწავლოს ჯდომა, დგომა, სიარული, ლაპარაკი, ყველაზე ადრე მის შვილს გაუღიმოს მზის სხივებმა და გაანათოს კაშკაშა მთვარემ. მაგრამ მეორე დედას, რომელსაც ჩვენ ბუნებას ვეძახით, აჩქარება არ უყვარს, იგი მისდევს თანდათანობის კანონს, მას ნახტომი არ ეშლება. თორემ თქვენ თვითონ მიჰხვდებით ყველა ამას, თუ მიიხედ-მოიხედავთ და ცოტაოდნათ დაკვირვების უნარს გამოიჩენთ. განა პაწაწინა ჩიტის ბარტყს ბუნება ნებას მისცემს ბუდიდან დაიძრას, ვინემ იგი არ შეიმოსება ბუმბულით და ფრთები არ გაუმაგრდება? ასეა ბუნება თქვენი ემიკოს შესახებაც: მას მისცა ბუნებამ ინსტინკტი (ალღო) და ამ ნიჭის შემწეობით თვით ბავშვი ემზადება ხოლმე ცხოვრების ყოველ აქტისთვის. იქნება გაგიკვირდეთ, გაიოცოთ კიდეც ეს უკანასკნელი გარემოება, მაგრამ ეს ასეა. თქვენი ემიკო, თქვენ თვითონ თუ არ გადაეღობებით მის მისწრაფებას, თვითონვე მოემზადება „ფეხის ადგმისთვის". რამდენიც იგი ზრდაში მიდის, იმდენადა გრძნობს იგი მოთხოვნილებას მოძრაობისას. არ ვიცი, შეგინიშნავთ თუ არა, როცა თქვენი ემიკო განსვენებაშია, რა რიგად ამოძრავებს იგი სხეულს: ხან გადაბრუნდება, ხან გადმობრუნდება, იქნევს ფეხებს, ამოძრავებს თავსა. ამ ერთივე შეხედვით უაზრო და უმნიშვნელო მოძრაობას დიდი აზრი აქვს, ბატონო ჩემო. იგი დაბადებითვე ავარჯიშებს თავის ორგანოებს, ინსტინქტურათ ემზადება სამოქმედოთ; და ეს უნარი მოქმედებისა და მოძრაობისა რომ წავართოთ ბავშვს—ეს იგივე იქნება, რომ, რომელსამე მანქანას მოძრაობის მეხანიზმი დავუყენოთ და გაგვიკვირდეს—რატომ არ მოძრაობსო. თქვენი ემიკო იგივე მანქანაა და მისი მეხანიზმი მისი ორგანოებია. ნუ ინებებთ და ნუ შეჰბოჭავთ მას ჩვენებურ არტახებით, ნუ უკრავთ ფეხებს, ხელებს, მიეცით მას თავისუფლება ამოძრაოს თავისი ფუნთუშა ფეხები და თავისი უცოდველი ხელები—გარწმუნებთ, ბატონო ჩემო, ამ ყოფაში ჩავარდნილი ბავშვი ყველაზე უბედური არსებაა და თავის უბედურებას მხოლოდ ტირილითა და ვიშით გამოჰხატავს ხოლმე.

რომ ბავშვმა ნელ-ნელა განივითაროს ფიზიკური ძალაო, სამართლიანათ ამბობს დიტტესი *), საჭიროა მისს სხეულს მიეცეს სრული თავისუფლება მოძრაობისა. ცხოვრების პირველ დღიდანვე ჩვენ კი ვბოჭავთ ბავშვს ჩვრებში, ვახრჩობთ აკვანში, ან არა და ვფუფნით საბანში, თუმცა ამ უკანასკნელს მხოლოდ ის დანიშნულება უნდა ჰქონდეს, რომ ბავშვი არ გაცივდეს, საკუთარი სითბო შეენახოს და არა ის, რომ თავი, ფეხები, ხელები თავისუფლებას იყვეს მოკლებული. დიახ, ბავშვს თავისუფლათ უნდა ჰქონდეს ეს მანქანა, რომ იგი გაძლიერდეს, განვითარდეს, რომ მან შესძლოს ამ მანქანით სარგებლობა ე. ი. ისწავლოს ბავშვმა ჯდომა, დგომა და სიარული. დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, როდესაც ჩქარობენ ამ საქმეში. თუ ბავშვს ძალა არ შესწევს თავი შეიმაგროს და დაჯდეს, მაშინ ხომ ბავშვი იგი ვერც ფეხზე დგომას და ვერც სიარულს მოახერხებს. და თუ ვინმე შეეცდება ამ დროს ამ საქმისთვის, იგი მხოლოდ დააზიანებს ბავშვს ხერხემალის გაბრუნდებითა და ორგანოების დასუსტებით და, რაც უფრო ძნელია, აჩვევენ მას შიშსა და გაუბედაობას. თქვენ ბედნიერათ უნდა ჩასთვალოთ თქვენი თავი, თუ ბავშვი 5—6 თვისა ისწავლის ჯდომას, წლის ბოლოს კი ისწავლის დგომას და ფეხსაც აიდგამს **). ამ შემთხვევაში რაც შე ძლება ნაკლებათ უნდა ვეხმარებოდეთ ბავ შვს, მაშინ იგი თავიდანვე მიეჩვევა სიფ თხილეს, თავის მცველობას და მეტადრე თვით-მოქმედებას. ყველა ხელოვნური ს შუალება კი მავნებლობის მეტს არას მოუ ტანს. შვეიცარელმა ექიმმა დემმა სწორედ ამ მხრივ გაშინჯა 150 ბავშვი და დარწმუ ნდა, რომ ცხრა ან ათის თვისას მხოლოდ ძა ლიან ღონიერ ბავშვს შეუძლიას ფეხზე დგომა საშუალო ძალ-ღონის ბავშვი უფრო გვია აღწევს ამას; ნაზი და სუსტი ბავშვი კი უფ რო გვიან 12 თვეზე. 150 ბავშვში მხო ლოდ ორმა ცხრა თვისამ დაიწყო სიარულ დანარჩენებმა კი 18 თვიდან.

კომპერეს **) აზრითაც ახალ-დაბადებულ ბავშვი ერთბაშად ვერ გაიმართებს ტანს ამისთვის ხანი უნდა და ვარჯიშობანი იგი კიდეც ვარჯიშობს დედის მუხლებზე ეთამაშება ძუძუს, ამოძრავებს თავს ხელებ ფეხებს, შემდეგ ფეხებსაც ადგამს

---

*) იხ. პედაგოგიკა—დოქტორის დიტტესისა.

*) ჩემმა ბავშვმა ხუთი თვისამ ისწავლა ჯდ 10 თვისა ფეხზე დგებოდა და მეთორმეტე იდგა, როდესაც ნელ-ნელა ფეხიც აიდგა. ჩემ შვის ამგვარ გამარჯვებას უფრო იმითი ვხსნი, თავისუფლად ამოძრავებდა სხეულს—ფეხები და ლები არასოდეს არ შეგვიკრავს მისთვის, თუმც საჭმელ-სასმელს, წმინდა ჰაერს და მეტადრე ნურ პირობებსაც ამ საქმეში დიდი მნიშვნელ აქვს.
ალ. ნათაძე

**) იხ. გონებითი და ზნეობითი აღზრდა ბავშ—კომპერე.

სავალი სატეხნიკო საზოგადოების სასარგებლოდაა დანიშნული.

◆ როგორც „კავ."-ს დეპეშით ატყობინებენ, გადაიყვანეს პოდპოლკოვნიკები: კუბის პოლკისა, თავ. მაყაშვილი და მაჩაბელი—ომსკის პოლკში, გორის პოლკისა წხეიძე—სემიპალატინის პოლკში და გროზნის პოლკისა ახვლედიანი—ბარნაულის პოლკში.

◆ ტფილისის ვაჟთა პირველ საკვირაო სკოლის გამგემ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს ის 300 მან., რომელიც საბჭომ გადასდო სკოლის სასარგებლოდ.

ტფილისის ქალაქის საბჭო

თავმჯდომარეობდა ისევ თავ. ჩერქეზიშვილი, რადგან ქალაქის მოურავი ჯერ კიდევ ავადაა.

ქალაქის სკოლის მმართველმა ნ. ი. ფირუმოვმა ითხოვა: ცხრა თვე სკოლათა გამგეობის კომისიაში საქმის მწარმოებლის თანამდებობას ვასრულებდი და ამ შრომის სასყიდელი მერგებაო.

სკოლათა გამგე კომისიისა და გამგეობის დადგენილების თანახმად საბჭომ უარ-ჰყო ბ-ნ ფირუმოვის სათხოვარი.

საპერნი ქუჩაზე ქალაქს სადუქნე სახლი აქვს, რომელიც ეს მეოთხე წელიწადია იჯარით უჭირავს ვინმე ფირუმოვს და აქ ტრაქტირი აქვს გამართული. უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში 50 თუმანს იძლეოდა იჯარადარი, ამ წლიდან-კი გამგეობას 60 თუმანი მოუთხოვია, ამიტომაც ფირუმოვი სთხოვდა საბჭოს, ისევ წინანდელ ფასში მომაქირავეთ ეს სახლიო. საბჭომ გამგეობის მოხსენება დაამტკიცა.

საპერნი ქუჩაზე, იმ ადგილას, სადაც ევანგულოვის ქუჩა გადაივლის ოზეროვისა და პანკრატოვის სახლები ქუჩაზე იმდენად წინ გამოწეულია, რომ ქუჩას ავიწროებს, მაშინ როდესაც დანარჩენ ადგილებში ეს ქუჩა საკმაოდ განიერია. გამგეობას განუზრახავს ამ ადგილას ქუჩის გაგანიერება და სახლების პატრონებთან მოლაპარაკება დაუწყია ადგილის დათმობის შესახებ. საბჭომ ნება დართო გამგეობას შეთანხმდეს სახლის პატრონებთან ქუჩის გაგანიერებისათვის საჭირო ადგილის დათმობის შესახებ და მერე საბჭოს მოახსენოს მოლაპარაკების შედეგი.

საპროფესიონალო ქალთა სახელოსნოს მმართველებად ყოფილნი ბ-ნნი ბუდრინისა და ბუტუზოვისა სთხოვდნენ ქალაქს, ჩვენი ნამსახურობისათვის ფულით შემწეობა მოგვეცითო. როგორც გამგეობის მოხსენებიდან აღმოჩნდა, ბუდრინისას უმსახურნია 14 წელიწადი, ბუტუზოვისას-კი ორი წელიწადი. სკოლათა გამგე კომისიასა და გამგეობას ერთად განუხილავთ ამ ორის სათხოვარი და დაუდგენიათ—ქ-ნ ბუდრინისას მიეცეს ერთხანად ასი თუმანი, ხოლო ბუტუზოვისას უარი ეთქვასო; საფინანსო კომისიაც დასთანხმებოდა ამ დადგენილებას. საბჭომ კენჭი ჩამოუტარა ბუდრინისათვის ასის თუმნის მიცემას და 12-ის ხმით წინააღმდეგ 25-ისა უარ-ჰყო ეს სათხოვარი და კომისიებისა და გამგეობის დადგენილებანი.

დასაფასებელ გადასახადის დარჩენილ ხარჯების გამგე კომისიას განუხილავს სხვა-და-სხვა კაცთა სია, რომელთზედაც დღემდე დარჩენილია ეს ხარჯები, და ორშაბათის კრებაზე წარმოუდგინა საბჭოს, ვის ეპატიოს ეს ხარჯები და ვის არა.

საბჭომ დაადგინა: მიენდოს ქალაქის გამგეობასა და კომისიას, თუ საჭიროდ დაინახვენ, დარჩენილ გადასახადების ანგარიშით გაწერილი ჯარიმები აპატიონ მამულის პატრონს. ამიტომაც საბჭომ ისევ დაუბრუნა კომისიას წარდგენილი სია ხელ-ახლად გადასასინჯად და ამ დადგენილების თანახმად შესასწორებლად.

დასასრულ საბჭომ დეპუტატი აირჩია იმ კომისიაში დასასწრებლად, რომელმაც უნდა შეაფასოს ვინმე ახნაზაროვის ადგილი მტკვრის პირად, სადაც მუხრანიანთ ხიდი უნდა აგოს ქალაქმა. ეს ადგილი ქალაქმა უნდა შეისყიდოს ახნაზაროვისაგან.

დეპუტატად აირჩიეს გამგეობის წევრი ტ. ა. ენფიანჯიანცი, რომელსაც ხარჯად დაუნიშნეს 40 თუმანი.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ბირჟ. ვედ."-ს გაუგია, რომ მთავრობას აზრად აქვს რკინის გზის სამგზავრო ბილეთებზე წითელ ჯვრის სასარგებლოდ არსებულ გადასახადს (5 კაპეიკია) ხუთ კაპეიკამდე კიდევ მოუმატოს. აზრად აქვთ აგრეთვე შემოიღონ განსაკუთრებული ბილეთები იმათთვის, რომელნიც სადგურებზე მგზავრებს აცილებენ და ეგებებიან.

◆ როგორც „რუს"-ს გაუგონია, ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ განსახილველად ახალ პროექტს, რომელიც შეეხება მოხელეთა დისციპლინარულ სასჯელს სამსახურის ასრულების დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის.

◆ „სევ.-ზაპ. სლ."-ს ატყობინებენ, რომ ომის გამო პოლონეთის ვაჭრობა-მრეწველობა ძლიერ დაეცა. მას შემდეგ, რაც ციმბირის, ბაიკალისა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზებზე საქონლის გზავნა შეჩერდა, მრეწველობის ზოგიერთი დარგნი დიდს ზარალში არიან. ბევრი წვრილი ქარხანა და ფაბრიკა კოტრდება და იკეტებაო. თუ რამდენად შესუსტებულია მრეწველობა, ცხადად მოწმობს ის ფაქტი, რომ ლოდზის რკინის გზამ ერთი ორად შეამცირა მატარებლების მისვლა-მოსვლაო.

◆ როგორც გაზეთები გვაუწყებენ, თავადი მეშჩერსკი ამ ბოლო დროს ძლიერ უანგაროდ იქცევა და ნივთიერ მსხვერპლსაც არ ზოგავს, ოღონდ იმის თავადურ აზრებს დაბალ ხალხშიაც ჰქონდეს გასავალი. „ღნ. ვესტ."-ს სწერენ, ელნიდან, თუმცა აქ არსებულ სახალხო სიფხიზლის კომიტეტს არასოდეს აზრადაც არ მოსვლია, გამოეწერა თავის საჩაიესათვის მეშჩერსკის გაზეთი „დრუჟესკია რეჩი", მაგრამ დღიდან გამოცემისა ეს გაზეთი უსასყიდლოდ მოსდის ამ საჩაიეს. მაგრამ დახე ხალხის უმადურებას, გაზეთს არავინ არ კითხულობს და ყველა ნომერი გაუჭრელი რჩებაო.

◆ „რუსკ. ვედომ"-ს სწერენ ნიკოლაევიდან, შორეულ-აღმოსავლეთში ომის დაწყების დღიდანვე ადგილობრივ გაზეთის „იუჟ. როს."-ს რედაქცია ცალკე სცემდა „რუს. დეპ. სააგენტოს" დეპეშებსაო. პირველ მარტიდან ადგილობრივ ადმინისტრაციას გამოუცია განკარგულება, რომლის ძალითაც მცირე-წლოვანთა და ებრაელებს სრულიად აეკრძალოთ დეპეშების ტარების უფლება, ხოლო დანარჩენნი განსაკუთრებულ პირობებში იქმნენ ჩაყენებულნი.

◆ გამოქვეყნებულია ინსტრუქცია, რომლის ძალითაც პოლიციის მოხელეთ ევალებათ, დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სამრეწველო დაწესებულებაში, როგორც კი რომელიმე მუშას უბედურება შეემთხვევა, და იქვე შეადგინონ ოქმი და დაწვრილებით აღნიშნონ მოწამენი, მიზეზი უბედურ შემთხვევისა და მუშის ხელობა.

სასამართლო

ტფილისის ქალაქის კასის გაქურდვა

(დასასრული*)

ემანუილ ზევგალს და სიმონ ოთხმეზურს იცავდნენ ნაფიც ვექილის თანაშემწენი თავ. ი. ბარათაშვილი და გრუზენბერგი, ჩერნიკოვს, გერმანს და ბერესლავკებს—ბ-ნი გრუზენბერგი, პანჩენკოებს და მერელიგინს—ნაფ. ვექილი ოპოჩინინი, ხ. ბოიმებლიტს და მაკაროვს—გრებენშჩიკოვი, ხოლო ამ. პანდულს—დრაგნევიჩი. 20 მოწმეზე მეტი არ გამოცხადდა და თუმცა ვექილმა გრუზენბერგმა მოითხოვა საქმის გადადება, მაგრამ სასამართლომ კანონიერად იცნო მოწმეების სასამართლოში არ გამოცხადება და საქმე არ გადასდო. შეუდგნენ მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევას. სასამართლოში მოწმეებმა თითქმის იგივე გაიმეორეს, რაც გამოძიების დროსა სთქვეს. პოლიციის აგენტებთაგან ცნობილმა ჩიქოვანმა სთქვა, მე ამ საქმისა არაფერი ვიციო. როცა თავმჯდომარემ მისი ჩვენება გამომძიებელთან წაიკითხა, ჩიქოვანმა სთქვა, მგონი მაგრე უნდა ყოფილიყოო. გაიმეორეს თავიანთი ჩვენებანი პოლიციის საიდუმლო აგენტებმა ჯანაშვილმა და სარუხანოვმა. ამ უკანასკნელმა სთქვა, სხვათა შორის: მე მახსოვს კარგად ერთის ჩემის ნაცნობის ნალაპარაკევიდან, რომლის გვარსაც აქ ვერ გავამხელ, რომ ეს ქურდობა ჩაიდინეს ბერძენმა ზევგალმა, ოთხმეზურმა და ორმა სხვამ, შემდეგ ობლიგაციები წაიღეს და რუსეთის სამხრეთ ქალაქებში გაავრცელესო. საუხანოვს როგორც თავმჯდომარე, ისე ვექილები ჩააცივდნენ, საჭიროა გვითხრა გვარი თქვენის კარგად ნაცნობის სანდროსაო. მაგრამ სარუხანოვი უარზე დადგა. მოწმეების მიქელაძისა და მამედბეგოვის ჩვენებით გამოირკვა, რომ ის კალათა, რომელიც რკინის შკაფების სამტვრევ იარაღებით იყო სავსე და რომელიც ბაქოში ხუნდაძის სასტუმროში აღმოაჩინეს, ეკუთვნოდა იმ ქურდებს, რომელთაც იმავე ხანებში გასტეხეს ბაქოში ერთის მდიდარ ვაჭრის მაღაზია და გაიტანეს ფული. ესენი ყოფილან და სასამართლოს დამნაშავედაც უცვნია ზევგალი და ოთხმეზური. საქმის გამოძიება შეივსო იმ მოწმეთა ჩვენების წაკითხვით, რომელნიც საპატიო მიზეზისა გამო ვერ გამოცხადდნენ. საქმის გამოძიება დასრულდა 16 მარტს. ბრალმდებელმა უარი განაცხადა ოთხმეზურისა, ზევგალისა, ს. პანჩენკოსა და პერელიგინის ბრალდებაზე. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ვექილებმა. განაჩენს გამოაცხადებენ დღეს, 17 მარტს.

ქუთაისის წყლის მილის საქმე

(წერილი რედაქციის მიმართ)

ავდრებში გაუვალ ტალახებისა, დარში საწამლავ მტვერისა და სუფთა სასმელ წყლის უქონლობისაგან „მშვენიერ ქუთაისის" ტანჯულ-წამებული და უდანაშაულოდ დასჯილი მცხოვრებნი, მრავალ წლის განსაცდელისა და ლოდინის შემდეგ, ამ სამიოდე წლის წინად გავხდით იმ ოცნების ღირსნი, რომ ჩვენც უნდა გვღირსებოდა წყლის მილის გაყვანა. გულის ფანცქალით ველოდით, რომ დაგვიდგება დრო, როცა მცხოვრებთ მღვრიე, ათას გვარ მიკრობიან წყლით კუჭის გაფუჭებას ბოლო მოეღება და ქუთაისიც გარეგნულადაც კულტურულ ქალაქის სახეს მიიღებს. დიახ, ამას და ბევრ ამგვარებს ვოცნებობდით ქუთაისის მკვიდრნი. ქალაქის ახალმა საბჭომ ესეც არ გვაკმარა: თუ კი საქმე ოცნებაზეაო,—იფიქრა იმან,—რატომ ელექტრონის ტრამვაისა, ელექტრონით ქალაქის განათებასა, ტელეფონსა და სხვა ამგვარებზე არ უნდა ვიოცნებოთო, და მართლაც კულტურულ გაუმჯობესობის მოყვარე იმერლებს ქალაქის ახალმა, „მამებმა" დღევანდელ დროის შესაფერი იმედები აღგვიძრეს, პლანები დიდი დაგვიხატეს, გარეგნულის შეხედვით ამაების შემსრულებელი კაცებიც გამოგვიძებნეს და ამრიგად დააპირეს სიტყვის საქმედ ქცევა. „ჩვენც „ჭკო", „ჭკოს", „კი" „კი. ბატონოს", მეტი რა გვეთქმოდა? მცხოვრებთ მით უფრო ჩაესახათ გულში იმედი, რომ ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობასა და საბჭოში საქმეებს განაგებდა ახლად გამარჯვებული ოპოზიცია, რომელიც წინად მეტის რახითა და სიმამაცით ებრძოდა და ჰგმობდა ძველ გამგეობის უმოქმედობა-უსაქმიანობას, და თვითონ ძალიან ბევრს გვპირდებოდა. მეორე იმედი, რომელზედაც ქუთაისის მცხოვრებნი ვამყარებდით ჩვენს ოცნებას, იყო ის, რომ ორი უმთავრესი კონცესია უკვე გაცემული ჰქონდა ქალაქს ისეთ კაცებზე, როგორიც იყო ინჟენერი ბ. მიხაილოვი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ ცნობილმა ინჟენერმა „წყლის-მილის გაყვანი და ელექტრონის ტრამვაის გამმართველი" ამხანაგობაც-კი შეადგინა და სათავეში ჩაუყენა ბ-ნი ზდანოვიჩი, ხოლო ტფილისში ამას გვერდში ამოუყენა ინჟენერი ბაბოვი, ინჟენერი ბეგზადოვი, თავ. გ. დისამიძე, თავ. ამირაჯიბი, ბ-ნი ს. ჭრელაშვილი და სხვა ნდობა-დამსახურებული პირნი. ამათ სთქვეს: ვკისრულობთ გამოვიყვანოთ წყალი და გავმართოთ ელექტრონის ტრამვაიო. ჩვენმა ღარიბმა საზოგადოებამ სულ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ამხანაგობის გამგეობას 70,000 მანეთამდე საწევროს ნაღდი ფული ჩააბარა. მცხოვრებნი ისე გაიტაცა ამ აზრმა, რომ ერთი მეორეს ეწეწებოდა და უმტკიცებდა ამხანაგობაში ჩაწერის სარგებლობას. მართალია, ასეთის მცირე თანხით ისეთ დიდი საქმის დასრულება შეუძლებელი იყო, მაგრამ ისეთი მოღვაწენი, როგორნიც არიან ამხანაგობის ზემოდ ჩამოთვლილი წევრნი, ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვიყავით, თუ კი მოისურვებდნენ და თანხმობა ექმნებოდათ, ყოველთვის იშოვნიდნენ ამ საქმისათვის საჭირო თანხას. ისიც ვიცით, რომ წყლის გამოსაყვანად საჭირო მილებს ხუთის წლით ნისიად იძლეოდნენ. მაგრამ, როგორც გავიგეთ, რაღაც შავ-მელას ჩამოურბენია ამხანაგობის გამგეობის წევრთა შორის და ამისთვის საქმე დაღუპვის გზაზეა. აქ რომ მარტო ქართველები ყოფილიყვნენ, კიდევ გვეთქმოდა რამე თავის გასამართლებელი: „რა გაეწყობა, ქართველებს საქმე და საქმიანობა არ გვეხერხებაო" და ეს საქმეც ერთი ახალი მაგალითი იქნებოდა ჩვენებურ უსაქმურობისა... მაგრამ აქ ხომ ქართველებს გარდა რუსებიც ურევიან, საქმის მცოდნე და საქმიანობის მოყვარული სტო-

შემწეობით მიწაზედ, ან მიენდობა ხოლმე სკამს და ისე ცდილობს ფეხზედ დგომას. შემდეგ კი, როცა დარწმუნდება, რომ დაუხმარებლად შეუძლიან დგომა, ამასაც გაჰბედავს ხოლმე. „ჩემმა აკსელმა სამის თვისამ განიძრახა ფეხზედ დადგომა და დადგა კიდეც ერთი წუთით" *). 16 თვის ბავშვს კი თავისუფლად შეუძლიან ფეხზედ დგომაც და ფეხებით დაბრახუნებაცაო". ერთი სიტყვით, ბატონო ჩემო, თუ ემიკოს ჯერ ფეხი არ აუდგამს, დაანებეთ თავი, დეე, თვითონ ავარჯიშოს სხეული, თქვენ მის მოძრაობას ხელს ნუ შეუშლით. როცა ძალა მიეცემა, თვითონვე წამოდგება და ცოტა ხანს მერე სიარულსაც დაიწყებს, რასაკვირველია, ჯერ სხვის შემწეობით. ამ საქმეში თქვენ ნუ აჩქარდებით, აცალეთ ბუნებას, ის თვითონ ასწავლის ბავშვს სიარულს, აჩქარებით კი საქმეს გააფუჭებთ: აქ საჭიროა ხელის შეწყობა და არა ძალადობა.

მაგრამ ეს კი იცოდეთ, რომ ეს დრო უძნელესი დრო იქნება თქვენი ბავშვის აღზრდაში. სწორედ ახლა დაუდგება ჟამი განსაცდელისა თქვენს ემიკოს. როცა არ დადიოდა, სადაც უნდა დაგეგდოთ, შიში არა გქონდა არაფრისა, ეხლა კი სულ სხვა იქნება და ყველა დედა ყოველგვარ ხიფათს უნდა მოელოდეს. „დიახ, დიდი სიფრთხილე უნდა ახლა თქვენს შვილს, სწერს ახალგაზრდა დედას პედაგოგი ბემე *), ბევრგვარ ხიფათს უნდა მოელოდეთ და ჩვენი წმინდა ვალია კარგად გავარკვიოთ ყველა ის საშუალება, რომლითაც უნდა ავაშოროთ მას თავიდან ეს ყველაგვარი ხიფათი. წვრილმან ხიფათებიდან თავის დღეში ვერ დაიცავთ თქვენს ბავშვს, მაშინ ის უნდა დაამწყვდიოთ ოთახში, რომელიც რბილი ბალიშებით უნდა იყვეს მოფენილი, რათა, რომ წაიქცეს, რბილად დაეცეს და არა იტკინოს-რა; მაგრამ ეს ღონისძიება უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო. ბავშვი ისეთს პირობებში უნდა იყოს, რომ მან პირველათვე ყველაფერი გამოსცადოს, ყველაფერი გაიცნოს; ამით გაიხსნება ბავშვში ის მშვენიერი თვისება, რომელსაც ჩვენ თვით-გამოცდილებას ვუწოდებთ. ამისთვის თვითონ თქვენ უნდა შეამთხვიოთ ხოლმე ბავშვს განგებ სხვა-და-სხვა ხიფათები, რომლებიც, რასაკვირველია, მავნებელი არ იქნება მისთვის. ამით შეაჩვევთ მას **თვითმცველობას** უკუღმართ შემთხვევისაგან. ავხსნათ ჩვენი აზრი უფრო ნათლად: წარმოვიდგენოთ, რომ თქვენი ბავშვი მარტოკა დარჩა ოთახში. ამ შემთხვევაში მას მალე ნუ მიეშველებით, იყოს მარტოკა ოთახში, ამით თქვენ მიაჩვევთ მას ცხოვრებას უხალხოთაც, რომელიც, სხვათა შორის, საჭირო იქნება მისთვის მომავალში. თუ ოთახში ისეთი რამ არის, რომლიდანაც ბავშვს შეიძლება დიდი ხიფათი შეემთხვას, მაგ., წუმწუმა, ანთებული ბუხარი, ადუღებული სამოვარი, მაშინ ეს ღონისძიება უნდა ვიხმაროთ: სანამ შევაჩვევდეთ ბავშვს თუ რა უბედურებას შეიძლება შეემთხვას ის ამ საგნებიდან, ეს საგნები უნდა მოაშოროთ მას. ბუხრის წინ ისეთი რამ დასდგით, რომ ბავშვი ბუხართან ველარ მივიდეს. მერე კი ნელ-ნელა შეაჩვიეთ ბავშვი ამ საგნებიდან გამომავალ ხიფათს.

ბავშვებს ძალიან უყვართ მოგროვება სხვა-და-სხვა ნივთებისა, რომელნიც კი მის ყურადღებას მიიქცევენ რითიმე: მაგ. აგროვებენ ნემსებს, ქინძისთავებს, შუშის ნატეხებს, დანის პირებს და სხვ. აქაც საჭიროა მშობელი ფრთხილად იყვეს, რომ ამ ნივთებიდან რაიმე უბედურება არ დაატყდეს თავზე".

პაწაწინა ბავშვის ძვლები და ძარღვები ჯერედ ღუნეა, სუსტი და ეს არის მიზეზი, რომ იგი ხშირად, ძალიან ხშირად წაიქცევა ხოლმე; მაგრამ წაქცევაც არის და წაქცევაც—ხან-და-ხან ისე ძალიან დაჰკრავს ხოლმე თავის ქალას იატაკზე და ან რომელსამე მაგარ საგანზე, რომ ხშირად ტვინის შერყევით გათავებულა ეს შემთხვევა; თუ თავზე არ დაეცა, შეიძლება ხერხემალი დაზიანდეს, ან, რაც ადვილი წარმოსადგენია, კუზიანი გახდეს ბავშვი. უეჭველათ უნდა ეცადნეთ, რომ ყველა ეს ააცდინოთ ბავშვს თავიდან, უნდა ეცადნეთ, რომ შხამათ არ გადააქციოთ ის სიხარული და ნეტარება, რომელიც მოგანიჭათ თქვენ ბავშვმა თავისი ფეხის ადგმით. იმედი მაქვს, ამ სიტყვებიდან თქვენ იმ დასკვნას არ გამოიყვანთ, რომ ბავშვს სრულიად აუკრძალოთ ცელქობა-თამაშობა, სირბილი. ეს აკრძალვა წამებაა, სიკვდილი იქმნება თქვენი ბავშვისათვის. კი ეცადენით, რომ ბავშვი მოძრაობის დროს ისეთს პირობებში ჩააყენოთ, რომ მას ყოველი მოსალოდნელი ხიფათი ააცდინოთ თავიდან.

ალ. ნათაძე.

ერთ ქართველ დედათაგანს

P. S. ეს წერილი მზად იყო, როდესაც „ცნობის ფურცლის" რედაქციას მოუვიდა ერთი ქართველი დედის წერილი, სადაც პატივცემული დედა მეკითხება მე: „შეიძლება თუ არა ბავშვის ძუძუს გაშვებინების დროს, ძუძუზე წავისოთ რამე: ქინაქინა, დარიშხანა და სხვ." არ ვიცი, პატივცემულმა დედამ წაიკითხა თუ არა ჩემი მერვე პედაგოგიური წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ არაფერი მაგგვარი საშუალება არ უნდა იხმაროს დედამ, ნეხვის წასმა რა არის—ამასაც-კი უნდა წინააღმდეგობა გაუწიოთ-მეთქი. დარიშხანა და ამგვარი საშუალება ხომ სულ ერთიან განდევნილი უნდა იყვეს, რადგანაც ამ საშუალებით შეიძლება ბავშვს სიცოცხლე მოუსპოთ. მე ვთხოვ ამ ქართველ-დედათაგანს გულ-მოდგინედ წაიკითხოს აღნიშნული ჩემი მერვე წერილი, საიდანაც ამის გარდა სხვა რამესაც ამოიკითხავს თავისი შვილის სადღეგრძელოთ.

ალ. ნათაძე

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2440.

*) იხ. სული ბავშვისა—თხ. პრეირისა.

*) იხ. აღზრდა შვილისა—ბეგესი, ჩემ მიერ ქართულად ნათარგმნი.

მხებიც, ინჟინრები, სპეციალისტები და სხვანი. დიახ ეს ყველაფერი იყო და ქუთაისის მკვიდრნიც ამაზე ამყარებდნენ თავიანთ საოცრებო იმედებს, მაგრამ დღეს ვეღარც წყლის მილსა ვხედავთ, ვეღარც ტრამვაის, აღარც ამ საქმის დამწყები მიხაილოვი სჩანს და არც ის ვიცით, ჩვენი ფული რაში დაიხარჯა. არ ვიცით აგრეთვე, არსებობს თუ არა ამხანაგობის გამგეობა ან აკეთებს თუ არა იგი რასმე, უნდა მოველოდეთ მათგან კიდევ რასმე, თუ იმედ-გაცრუებულნი ჩვენ ჩვენს გზას გვწიოთ. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ ამხანაგობას უკანასკნელი ქონება — კონცესიის უფლება — ეკარგება, ვადა გადის ამ 3—4 თვეში; ვიცით აგრეთვე ისიც, რომ ქალაქის გამგეობა „ოტნაშენიებს" „ოტნაშენიებზე" უგზავნის ხან ბ-ნ მიხაილოვს და ხან ამხ. გამგეობას, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი", პასუხის ღირსადაც არავინა ჰხდის ქალაქის გამგეობას. პირველ ხანებში ცარიელი დაპირებები მაინც იყო, ახლა ესეც აღარ არის. ასეთ მდგომარეობაში ამხანაგობის წევრებს, ჩვენის ფიქრით, იმის მეტი არა დარჩენიათ-რა, რომ ეცადონ თავიანთი უკანასკნელ ქონება — კონცესიის უფლება — მაინც არ დაჰკარგონ; ამისათვის-კი ერთად ერთი გზაა. რადგან გამგეობა იმათ არას ატყობინებს, თვით მოიწვიონ საგანგებო საზოგადო კრება, რაც შეიძლება მალე, და ამ კრებაზე მოსთხოვონ გამგეობას ყოველივე ანგარიში და იფიქრონ საქმის ახალნაირათ მოწყობა-მოკვარებაზე. თუ ეს მოუხერხებელია, იმ შემთხვევაში სჯობს საქმის ლიკვიდაცია დროზე მოხდეს, რომ მერე ქალაქს მაინც გაეხსნას ხელი და თუ თვითონ ვერ იკისრებს ამ საქმის გაძღოლას, სხვა საიმედო ფულიან კაცებს ან კაცს მიჰყიდოს და ქუთაისის მცხოვრებთა სამართლიან სამდურავს ბოლოს მოუღებს.

ამხანაგობის ერთი წევრი

მიტროფანე ლაღიძე

კახელ მევენახეთა საზოგადოების „კახეთი"-ს საზოგადო კრება

(წერილი თელავიდან)

(შემდეგი *)

8 მარტს, ოქმის დამტკიცების შემდეგ, თავმჯდომარემ თავ. ნ. ჩოლოყაშვილმა სთქვა: გუშინდელ ჩემის სიტყვების დასამტკიცებლად ვიტყვი შემდეგს: 70 ათას მანეთზე მეტი ვალია, სამაგიეროდ მოგება 240 ათასი მანეთია, მაშასადამე, საქმე მკვიდრ საფუძველზეა დამდგარი. ეხლა ბაასია ზედ მეტ მიღებულ ფულის შესახებ. როგორ უშველოთ საქმეს, რა სახსარი მოვძებნოთ. ამ საშუალებას-კი კომისია გამოსძებნის. მე მეუბნებიან, ამით წესდება ირღვევა, საქმე დაჰქვეითდებაო. ჩვენ გვინდა, რომ საქმეს ვუშველოთ და რაც აქამდე ყოფილა, შემდეგ აღარ იყოს და სხვა. თავ. ალ. ვახვახიშვილი არ ეთანხმება და ამტკიცებს, რომ ეს წესდების დარღვევაა, კომისია როგორ განიხილავს იმას, შეიტანონ ჩემ მაგიერ ფული თუ არა, როცა მე არ მერგება და სხვა. კომისიის არჩევის თაობაზე კრება თითქმის ორად გაიყო. ბევრის ლაპარაკისა და კითხვა-პასუხის შემდეგ ასე დაადგინეს: ამას იქით არავითარ ზედმეტ ფულის მიღების ნება არავის მიეცეს. რაც შეეხება არსებულს, ამოირჩიონ კომისია და დაავალონ შეიმუშაოს გეგმა თან-და-თანობით ზედმეტ მიღებულ ფულის შევსებისა. ამასთან კრებამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ეს დადგენილება ზოგიერთ წევრს ჩააყენებს გაჭირვებულ მდგომარეობაში ბანკში ფულის შეტანის დროს, დაადგინა: ასეთ შემთხვევაში ამ პირთა და საზოგადოდ წევრთა საშველად გადაიდოს შარშანდელ წლის წმინდა მოგებიდან საურთიერთო დახმარების ფონდისთვის ფული და ამის დახარჯვა მიენდოს ერთის წლის განმავლობაში ამორჩეულ კომისიას გამგეობასა და სარევიზიო კომისიასთან ერთად, ვიდრე ფონდის ინსტრუქცია დამტკიცდებოდეს. ახლა ამ ფონდმა გამოიწვია ბაასი. ზოგი წინააღმდეგი იყო ამ ფონდისა, ეს ისევ ჩუმი ზედმეტი გატანააო. კიდევ იბაასეს და ბოლოს გადასწყვიტეს შემდეგ კრებებზე კენჭი ეყარათ ამ კითხვისთვის.

9 მარტს კრება გაიხსნა თერთმეტის ნახევარზე. პირველადვე დაუბრუნდნენ წინა დღის გადაუწყვეტელ საკითხს — ზედ-მეტ ფულის მიღების შესახებ. მცირე ბაასის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა: ორი დღე ვილაპარაკეთ, საქმე გამოირკვა და ამაზე ლაპარაკსა ვსპობ, მხოლოდ კენჭი ვუყაროთო. წაიკითხეს წინა დღის დადგენილება, კიდევ ცხარე კამათი გამოიწვია, შემდეგ დაუდგეს ყუთი, უყარეს კენჭი და მიღებულ იქმნა კომისიის ამორჩევა და ფონდის დაარსება. გამგეობის თავმჯდომარეს თავ. ს. ვახვახიშვილს კრების დავალების თანახმად რევიზია მოეხდინა თელავის ბიუროსათვის და ამის შედეგი მოახსენა კრებას. რაც დახარჯულა და ბიუროს შეუძენია, იანგარიშეს და წმინდა მოგება 680 მან. დარჩა. მერე შეუდგნენ ანგარიშის განხილვის დამთავრებას. გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ს. ვახვახიშვილმა მოითხოვა, ანგარიშის ბალანსს მეტი ყურადღება მიაქციეთ, რადგან ჩვენ საზოგადოებაზე არა სასურველი ხმები გაავრცელეს და ამას კი შეეძლო ზარალი მიეყენებინა იმისთვისაო, და დაწვრილებით განმარტა ყოველივე მუხლი. წმინდა მოგება ყოფილა — 24,297 მან. 33 კაპ.

ამნაირად ანგარიშის განხილვა გაათავეს და მიმდინარე წლის აღრიცხვის განხილვას შეუდგნენ. გამ. თავმჯდომარემ თ. ს. ვახვახიშვილმა მოახსენა კრებას, სარევიზიო კომისიამ სურვილი გამოსთქვა, რადგან აღრიცხვა რთულია და ბევრი შენიშვნები აქვს, დაებრუნოს განსახილველად და დასამტკიცებლად. მე ამის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ მინდა თქვენც კარგად გაგაცნოთ, რადგან ბრალსა სდებენ გამგეობას, ბევრ ფულსა ხარჯავსო. რადგან ცოტა დრო დარჩა, იმისი განხილვა საღამომდის გადასდეს. კრებაზე ლაპარაკი ჩამოაგდეს იმის შესახებ, რომ რუსეთ-იაპონიის ომის გამო წითელის ჯვრის საზოგადოებას ღვინო შევწიროთო. კრებამ ერთხმად დაადგინა 2,000-მდე ბოთლი თავი ღვინო შევწიროთ დაჭრილ მეომართათვისო.

9 მარტს შეუდგნენ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ხარჯთ-აღრიცხვა წლიურ ანგარიშის მუხლებსავე შეიცავს, მხოლოდ ჯამის რიცხვია შეცვლილი. გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ს. ვახვახიშვილმა დაწვრილებით განმარტა ხარჯთ-აღრიცხვის მუხლები. თავ. იორამ ჯორჯაძემ შენიშნა, რატომ გამგეობა არა გვთხოვს ერთი კაცი მოვუმატოთ, რომ კანცელარიაში მომუშავე საკმაო იყოს. გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ს ვახვახიშვილმა უპასუხა, ერთი კასირი უნდა დავიჭიროთ, თუმცა საქმე რომ ისე სწარმოებდეს, როგორც წესია, 5 მოსამსახურის მომატება დასჭირდებაო. ბაასი გამოიწვია იმან, რომ განყოფილებებისთვის რევიზია არ მოუხდენიათ: ზოგი ამბობდა, გამგეობის ერთ-ერთი წევრი წავიდეს ხოლმე სარევიზიოდ და მისი მოვალეობა კანდიდატმა შეასრულოს, რისთვისაც სასყიდელი დაუნიშნოთო. გამგ. თავმჯდომარემ თავ. ვახვახიშვილმა უპასუხა, ბაქოში კიდევ შეიძლება გამგეობის წევრის მიერ რევიზიის მოხდენა, მაგრამ მოსკოვსა და სხვაგან შეუძლებელია, რადგან მთელი თვეები დასჭირდებაო. ზოგმა ითხოვა სარდაფებსა და განყოფილებების რევიზიას დიდი ყურადღება მივაქციოთ, მით უმეტეს ახალი ბაზრის გახსნა ბევრგანაა მოსალოდნელი, ამისთვის ეხლავე გადავდოთ საჭირო ფული და ცალკე რევიზორი ვიყოლიოთო. სხვებიც მიემხრნენ ამ აზრს — რევიზორის ყოლას, ჯამაგირი წელიწადში 3500 მან. დანიშნეს და ამ თანამდებობაზე ერთხმად დაასახელეს თავ. ალექსანდრე რევაზის ძე ვახვახიშვილი. ამის შესახებ ოქმიც დაადგინეს. შემდეგ მცირე მსჯელობა იქონიეს ღვინის დამფასებელ კომისიის წევრთა პრაგონის და დღიურის რაოდენობაზე. დაადგინეს: თითო წევრს მიეცეს 5 მანეთი დღეში და ამას გარდა ეტლისთვის დღეში ყველას 5 მან. ამით გაათავეს ყველა საქმეების განხილვა და კომისიების წევრთა და გამგეობის თავმჯდომარის არჩევანი მეორე დღისთვის გადასდეს.

10 მარტს დაამტკიცეს წინა კრების ოქმები. თავ. ალ. ვახვახიშვილმა განაცხადა, რომ წესდების ძალით, ხარჯთ-აღრიცხვას საზოგადო კრება ამტკიცებს, მაშ სარევიზიო კომისიას რაღათ უნდა გადავცეთ ყოველ მხრივ დაწვრილებით განსახილველად. თუ ჩვენ დავამტკიცებთ, ის ხომ ველარაფერს გამოაკლ-მოუმატებს. თავმჯდომარემ თავ. ნ. ჩოლოყაშვილმა წინადადება მისცა კრებას — დაამტკიცებთ თუ არა ხარჯთ-აღრიცხვასაო. კრებამ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა უცვლელად დაამტკიცა. თავ. ნ. ჩოლოყაშვილი: — ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა ვსთქვა, როგორც საზოგადოების წევრმა და არა კრების თავმჯდომარემ, იმ რევიზორის თანამდებობაზე, რომლისთვისაც 3500 მან. გადასდეთ. ხარჯთ-აღრიცხვა შეიცავს 145 ათას მანეთს. ჩვენ სჯა-ბაასი გვქონდა იმაზე, თუ როგორ შეგვემცირებინა ხარჯი და ასე ერთბაშათ-კი 3500 მან. მოვუმატეთ. ეს ძალიან კარგი, შეიძლება რევიზორმა დიდი სარგებლობა მოგვიტანოს, მაგრამ ჯერ-ჯერობით საზოგადოება იმ წრეზე არ არის დამდგარი, რომ ასეთი დიდი ხარჯი გასწიოს ამ თანამდებობაზე. შემდეგში-კი, როცა დრო იქნება, ვიყოლიებთ არა თუ რევიზორს, კომისიონერს და სხვა საჭირო მოხელეებსაც, რომელთაც გამგეობის თავმჯდომარე საჭიროთა სთვლის საქმის უკეთ მსვლელობისათვის. თავ. ალ. ვახვახიშვილი: თქვენ ლაპარაკობთ იმ საკითხზე, რომელიც უკვე გადაწყდა წუხელ, მაშ მეც მსურს გუშინდელ საკითხებს — ზედმეტ მიღებულ ფულის შესახებ კომისიის ამორჩევას და ფონდის დაარსებას დავუბრუნდე, და საღამომდის ვილაპარაკოო. დაიწყო ცხარე კამათი, სხვებიც ჩაერივნენ ბაასში, ასტყდა საერთო ლაპარაკი-ხმაურობა და კრება რამდენიმე წამით შეწყვეტილ იქმნა. კრების განახლების შემდეგ შეუდგნენ ამორჩევას გამგეობის თავმჯდომარისა, სარევიზიო კომისიის ორის წევრისა, საზოგადოებაში წევრთა მიმღებ კომიტეტის 3 წევრისა და ზედმეტ მიღებულ ფულის შესახებ დაარსებულ კომისიის 3 წევრისას. გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ისევ თავ. სიმონ რევაზის ძე ვახვახიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად: თავ. ალექსანდრე სოლომონის ძე ლეონიძე და იოსებ პაატას ძე მგალობლიშვილი. წევრთა მიმღებ კომიტეტში: თავ. მიხეილ თამაზის ძე ვახვახიშვილი, ივანე მგალობლიშვილი და თავ. მიხეილ რევაზის ძე ვაჩნაძე. უკანასკნელ კომისიაში: თავ. ალექსანდრე რევაზის ძე ვახვახიშვილი, თავ. მიხეილ ჯ. ჩოლოყაშვილი და თავ. ნიკოლოზ ვაჩნაძე. ამ უკანასკნელმა სამმა უარი განაცხადა. სხვებიც დაასახელეს, მაგრამ არც იმათ იკისრეს და ამ კომისიის მოვალეობა ჯერ-ჯერობით მიენდო გამგეობას სარევიზიო კომისიასთან ერთად. კრების თავმჯდომარემ თავ. ჩოლოყაშვილმა მიულოცა თავ. ს. ვახვახიშვილს გამგეობის თავმჯდომარედ არჩევა და უსურვა მას და გამგეობას საზოგადოების სასარგებლოდ და საკეთილდღეოთ მოქმედება და კრება დახურა. საზოგადოების წევრთ მადლობა გამოუცხადეს თავ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს კრების თავმჯდომარეობისთვის.

დიმიტრაშვილი

---

*) იხ. „ცნ. ფურც. № 2438.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 მარტი.

კიევი. სოფიის სობოროს წინ მოედანზე ჯარის დროებით უფროსმა დაათვალიერა მომქცე ჯარის თავისუფალი მეომრები. ყველანი სათადარიგო ჯარის-კაცნი არიან; ყველას ყოჩაღი, ცოცხალი და მხიარული შეხედულება აქვს. ამათში ბევრი ინტელიგენტია. თავისუფალმა მეომრებმა ცერემონიალურის მარშით გაიარეს.

ირკუტსკი. გუბერნატორსა და ვაჭრებს თათბირი ჰქონდათ, რომელზედაც განიხილეს საკითხი რკინის გზით საქონლის გადატანის შესახებ.

ნიუ-ჩუანი („რეიტ. საგ."). კონსულებსა და უცხოელ რეზიდენტებს ეცნობათ გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის ბრძანება, რომლის ძალითაც ნიუ-ჩუანში საომარ დროის წესია შემოღებული. ამ ბრძანებით აკრძალულია სამხედრო კონტრაბანდის გატანა.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

16 მარტი

ტოკიო. აქ შეჩერებული უცხოელი კორესპონდენტები უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ ბრძოლის ველზე წასვლის ნებას ჯერ არ აძლევენ. კორესპონდენტებს გამოუცხადეს, სასტიკად იქნებით დასჯილნი, თუ ვინიცობაა, ბრძოლის ველზე ნება დაურთველად წახვალთო.

პეკინი. რობერტ ჰარტის მიერ წარდგენილ მოხსენების დანარჩენი მუხლები შეეხება იმ ხარჯებს, რომელნიც შესაძლებელი იქნება, თუ კი საადგილ-მამულო გადასახადებიდან 400 მილიონი ლანი შემოვა.

ლონდონი. სეულიდან იტყობინებიან, 10 მარტს იაპონიის ქვეითა ჯარი შეხვდა ყაზახებს ანჩუსა და ჩიონ-ჩუს შუა და შეებრძოლა. რუსებმა უკან დაიწიეს. იაპონელებს მოუკლეს 50 კაცი, რუსების ზარალი არ ვიცით.

შანჰაიგუანიდან დეპეშით იტყობინებიან, იაპონელები ცინვანდაოს ახლო ზღვის სიღრმეს ჰზომავდნენ; როგორც სჩანს, ჯარის გადაყვანა უნდოდათ.

ტოკიო. იტყობინებიან, მთავრობამ ოპოზიციონურ პარტიებს მიმართა წინადადებით, ფლოტის გაძლიერების გეგმის დასრულების ვადა შეამოკლეთო. იპოზიცია დაეთანხმა.

ვეიჰაივეიდან იტყობინებიან, როგორც ჩინელ მენავეებმა გვაცნობეს, რუსეთის 11 სამხედრო გემი და იაპონიის გემები ერთი მეორის ახლოს დასცურავდნენ, მაგრამ ერთმანეთს არ ესროდნენ.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მარტი.

თემირ-ხანშურა. 15 მარტს საკმაოდ ძლიერ იძრა მიწა სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ.

ყაზანი. ყაზანის ოლქის ჯარის უფროსი ავად გახდა ფილტვების ანთებით.

ლონდონი („რეიტ. საგ."). მეფემ უბოძა ბარონეტის ტიტული პეტერბურგში დანიშნულ ელჩს ხარდინგს.

სტამბოლი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ისმის, პორტა და ელჩები შეთანხმდნენ იმ პირობით, თუ ჯერ ჯერობით დაინიშნება 30 უცხოელი ოფიცერი და 60 უნტერ-ოფიცერი.

ვლადიმირი. გაიხსნა ვლადიმირის განყოფილება იმპერატორ ალექსანდრე მე-III-ის სახსოვრად არსებულ რუსეთის ისტორიის მოყვარულთა საზოგადოებისა. აზრად აქვთ დააარსონ უფასო ბიბლიოთეკები და მოაწყონ სახალხო კითხვები.

ნეაპოლი. კეიზერმა იმპერატორმა ვილჰელმმა, მთელი დღე გემ „ჰოჰენცოლერნ"-ზე დაჰყოდეს დაათვალიერა იტალიის სამი გემი. ხვალისათვის ჰფიქრობს გაეტას გაემგზავროს.

16 მარტი

ნიუ-იორკი. სენატის კომისიამ, იუსტიციის უწყების საქმეთა შესახებ დანიშნულმა, გადასწყვიტა, მიიღოს კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც სიკვდილით უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც პრეზიდენტისა, უმაღლეს მოხელეთა და უცხოელ დიპლომატთა მოკვლას განიზრახავენ.

ბერლინი. როგორც ზანზიბარიდან მოსული დეპეშა იტყობინება, შეერთების კუნძულებზე ციკლონს დაუნგრევია მთავარი ქალაქი კუნძულ სენ-დენისა. ზარალი 20 მილიონ მარკს უდრის. დაიღუპა 90 კაცი, ამათ შორის 13 თეთრ-კანიანი.

პეშავერი. ავღანის ემირის ნასრულ-ხანის ძმა ჩხუბის დროს მძიმედ დასჭრა რევოლვერით თავის ძმამ მაჭმად უმარ ხანმა. ემირი მშვიდობიანად იმყოფება ბაგბადაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 12 მარტი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,85	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,60	
ბერლინისაზე "	43,60	
პარიზისაზე "	37,62½	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	93⅛	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	91¼	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	363½	გაყიდ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	303½	
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	264	
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	87½	"
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	88	"
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	189	"

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში — ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. 12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. 9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Доз. ценз. Тифлисъ 16 марта 1904 г

ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა

(Электропеч Груз. Издат Т—ва.